დადგენილება #21/ 2025 "სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის 2025-2026 სასწავლო წლისთვის, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება" და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჯაზის ხელოვნება" მისაღები ადგილების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 02 დეკემბრის #34/2024 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება N 21/2025
თარიღი: 24 ივლისი, 2025 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 57–ე და 63 –ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ი" და „წ" ქვეპუნქტების, კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის 2025 წლის 23 ივლისის #444 მოხსენებითი ბარათის (თან ერთვის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 23 ივლისის #17 სხდომის ოქმი) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 24 ივლისის N09 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1.შევიდეს ცვლილება "სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის 2025-2026 სასწავლო წლისთვის, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება" და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჯაზის ხელოვნება" მისაღები ადგილების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 02 დეკემბრის #34/2024 დადგენილებაში და დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის 2025-2026 სასწავლო წლისთვის, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჯაზის ხელოვნება“ მისაღები ადგილები წარმოდგენილი დანართის სახით.

2. დადგენილება გადაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების და პროგრამის ხელმძღვანელებს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფისსამსახურს.
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, № 64).
5. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი